მილოცვები, მილოცვები…

თბილისის “დინამოს” უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს, გუნდის უფროსს კახი ასათიანს, მწვრთნელს სერგო კუტივაძეს, დინამოელ ფეხბურთელებს.

“ქუთაისის “ტორპედოს” ფეხბურთელები მხურვალედ ულოცავენ თბილისის დინამოელებს ღირსეულ წარმატებას და უსურვებენ მათ ახალ მიღწევებს”.

გუნდის სახელით ა. ნორაკიძე.

ლვოვი.

“ლანჩხუთის რაიონის ფეხბურთის ფედერაცია, “გურიის” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ულოცავენ დინამოელებს ხელმეორე წარმატებას საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში, უსურვებენ მიღწევებს მომავალ შეჯიბრებებში”.

ევ. შევარდნაძე, შ. კაკაბაძე, გ. დუნდუა, ბ. სიხარულიძე, ნ. ნარიაშვილი, თ. ჩხაიძე.

“სამტრედიელი ფეხბურთის მოყვარულები “ლოკომოტივის” მოთამაშეები მხურვალედ ულოცავენ საქართველოს პირველ გუნდს ახალ წარმატებას, საბჭოთა კავშირის თასის მოგებას”.

ა. სირაძე (ჩვენი საკ. კორ.).

“თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მივულოცოთ თბილისის “დინამოს” სახელოვან კოლექტივს საბჭოთა კავშირის თასის მოპოვება, ვუსურვოთ ჩემპიონობის შენარჩუნება, წარმატებითი გამოსვლა ევროპის ჩემპიონთა თასზე”.

ზუგდიდის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდის სახელით: მ. ხურცილავა, ა. ჩიჩუა, ჯ. გოგია.

ორენბურგი.

“თანამედროვე ფეხბურთის დიდოსტატებს ვულოცავ ბრწყინვალე გამარჯვებას. ყველანი ვამაყობთ თქვენი წარმატებით. გისურვებთ მომავალ მიღწევებს”.

ბ. ქურდიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორი, თბილისის “დინამოს” სტადიონის პროექტის თანაავტორი.

“ძველი თაობის ფეხბურთელებმა კარგად ვიცით თუ რა ძნელია საბჭოთა კავშირის თასის ფინალის მოგება. რაც ჩვენ ვერ შევძელით – გააკეთეთ თქვენ, დიდი მადლობა ამისთვის.

გ. ანთაძე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

“ლელო”, 14 აგვისტო, 1979 წ.